ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩა N20 საცხოვრებელი სახლის N11 ბინაზე, მოქალაქე ნაილი ნაყოფიასათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე ნაილი ნაყოფიას წარმომადგენლის ნინო გრიგოლავას განცხადება /2011 წლის 26.01 N64/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩა N20 საცხოვრებელი სახლის N11 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, $65^2$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩა N20 საცხოვრებელი სახლის N11 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ნაილი ნაყოფიას.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების საქალაქო სამსახურმა /ნ.ჩოგოვაძე/, ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩა N20 საცხოვრებელი სახლის N11 ბინაზე /საერთო ფართობი 54,55 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 27,14 კვ.მ, დამხმარე ფართობი 27,41 კვ.მ./, მოქალაქე ნაილი ნაყოფიას სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე დ.ანდღულაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი　　　　　　　　　　　　　　　　　　გ.თევდორაძე